ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №28-ე

14 მარტი 2017 წელი

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში "სპექტრი" შემუშავდა „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის N28/ნ ბრძანების შესაბამისად კოლეჯში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცა, რაც მიზანშეწონილია დამტკიცდეს დირექტორის ბრძანებით.

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრი" წესდების მე-5 მუხლის "ე" ქვეპუნქტის, „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის N28/ნ ბრძანების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში, მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე

„ვამტკიცებ“
სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „სპექტრი“
დირექტორი:
ბრძ. №28/ნ
როინ (მათე) ტაკიძე
თარიღი: 14.03.2016.

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი და რეგულირების სფერო

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ (შემდგომში - კოლეჯი) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) შექმნილია „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის N28/ნ ბრძანების შესაბამისად და განსაზღვრავს უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, ადამიანების გადამდები დაავადებების, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის, ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

1. კოლეჯს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ჰყავს შესაბამისი თანამშრომელი, კოლეჯის მედდა, რომელიც:

ა) ზრუნავს კოლეჯში ჰიგიენური მოთხოვნების დაცვაზე;

ბ) ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს სტუდენტებსა და კოლეჯის თანამშრომლებს;

გ) პერიოდულად შეისწავლის სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტებს რეკომენდაციებით პირადი ჰიგიენის შესახებ;

ე) ვალდებულია სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებით;

2. მედდა კოლეჯის თანამშრომლების ან პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში (საწარმო ტრავმა, ნებისმიერი სახის დაზიანება მიღებული სასწავლო პრაქტიკის დროს) უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას, ხოლო მდგომარეობის

გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება.

მუხლი 3. ადამიანების გადამდები დაავადებების დროს კოლეჯის მიერ გასატარებელი ღონისძიებები

1. დაწესებულებაში ადამიანის გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლინებისას დაწესებულების დირექტორი, დირექტორის მოადგილე ვალდებული არიან, უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება და დაუკავშირდნენ:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

გ) ადამიანის გადამდები დაავადებით დაინფიცირებული პროფესიული სტუდენტის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს;

დ) ადამიანის გადამდები დაავადებით დაინფიცირებული თანამშრომლის ოჯახის წევრებს.

2. დაინფიცირებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე კოლეჯის მედდა უზრუნველყოფს მის იზოლირებულად განთავსებას;

3. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურის დასკვნის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ და უზრუნველყოფს სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას.

მუხლი 4. ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

1. დაწესებულებაში ადამიანთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფისას დაწესებულების დირექტორი (დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე) ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს, ხოლო ადამიანთა სიცოცხლის და/ან ჯანმრთელობის მასობრივი ხელყოფის შემთხვევაში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

დ) დაზარალებული მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს;

ე) დაზარალებული მასწავლებლის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრებს.

2. დაზარალებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე დაწესებულების დირექტორი (დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე) უზრუნველყოფს დაშავებულისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

3. დაწესებულებაში საკუთრების ხელყოფის ფაქტის გამოვლენისას დაწესებულების დირექტორი (დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე) ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

4. დაწესებულებაში ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფისას დაწესებულების დირექტორი და სხვა შესაბამისი თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაეხმაროს საგამოძიებო ორგანოებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში.

მუხლი 5. ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს დაწესებულების დირექტორი (დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე) ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულების შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;

ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;

გ) პოლიციის ადგილობრივ განყოფილებასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება.

მუხლი 6.. გარდამავალი დებულებები

კოლეჯს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

ინსტრუქციაში ცვლილებები/დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.